პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტული ცხოვრება

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 ივლისი, კვირა, 1987 წ.
№ 144 (9555) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

25 ივლისს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმი. პლენუმზე მიწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომების უფლების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეები, ადგილობრივი ტერიტორიულ-დარგთაშორისი და აგროსამრეწველო გაერთიანებების, დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. ი. პატიაშვილი.**

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ვ. ადლეიბა,** საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი **დ. ნ. დვალიშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ა. ანჩაბაძე,** თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომპლექსური ბრიგადირი **გ. ა. მეტონიძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ა. ჭითანავა,** ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე **გ. ჰ. გოგიტიძე,** საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ო. ვ. ქვილითაია,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **პ. შ. ბერაია,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **გ. ბ. ჭაშაკაშვილი,** ცხინვალის ქარხანა „მინანქარსადენის“ მუშა **მ. ვ. კოკოევა,** საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **დ. ე. სარიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ზ. ა. ჩხეიძე,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი **გ. ა. ზგერსკი,** საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ა. ქოჩოიანი,** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. რ. ხაჯაია,** საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ა. ოსიპოვი,** ქუთაისის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი **კ. კ. ბაკურაძე,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **დ. ვ. მანჯგალაძე,** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი **თ. ნ. ლოლაძე,** ქალაქ მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ ზეინკალი **გ. თ. აივაზოვი,** თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ი. ო. ანდრიაძე,** საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი **ე. ა. ბერიძე,** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი **ო. ნ. სულაძე.**

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმა.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა გ. ვ. ბედინეიშვილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის დანამდებობიდან პენსიაზე გასვლის გამო და მადლობა გადაუხადა მას პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად პლენუმმა დამტკიცა ნ. ა. ფოფხაძე და გათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ დაამტკიცეს ა. შ. იოსელიანი, რომელიც მანამდე საქინფორმის დირექტორად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორების გამგეები **ვ. ა. დენისოვი, ი. დ. ივჩენკო,** სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის პირველი მოადგილე **ს. ი. სადოვსკი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი **ვ. ს. მელნიკი,** მთავარ-ცენტრენერგოქსელმშენის უფროსი **გ. ს. ნესტერენკო.**

(საქინფორმი).



საქართველოს მოჭადრაკეთა მონაწილეობით

დაწინაურდა ნანა იოსელიანი

იუგოსლავიის ქალაქ ტუზლაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირში გაიმართა მეხუთე ტურის შეხვედრები. ნანა იოსელიანმა შავი ფიგურებით ლამაზი გამარჯვება მოიპოვა სუზანა მაქსიმოვიჩთან (იუგოსლავია) და ახლა 4,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

გაიმარჯვა ქეთევან არახამიამაც, მან შავი ფიგურებით დაამარცხა დჯული ლებელ-არიასი (საფრანგეთი).

მეხუთე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ნიკოლინი-ტრაბერტი — 1:0, ხობერგიევანკა — 0:1, შილანი-პეტროვიჩი — 1:0, კადილკარი-ვერეცი — 0:1, მატვეევა-კანელა — 0,5:0,5, სახატოვა-სემიონოვა — 0,5:0,5. ბრუსტმანისა და ფრომეტას შეხვედრა გადატანილია.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ნანა იოსელიანი — 4,5 ქულა, ტერეზა კანელა (ესპანეთი) — 4, აგნეშკა ბრუსტმანი — 3,5 (1), ლიუ შილანი (ჩინეთი), მარია ივანკა (უნგრეთი) — 3,5-3,5.

ნინო გურიელს წარმატების შანსი აქვს

ბარნაულში დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალური ტურნირი.

როგორც იცით, ამ ტურნირში საქართველოს მოჭადრაკეთაგან მხოლოდ ნინო გურიელი მონაწილეობს. ტურნირში უკვე თერთმეტი ტური გათამაშდა. გთავაზობთ მეხუთე-მეთერთმეტე ტურის შედეგებს:

იხ. მე-2 გვ.

ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

„ლელოს“ კორესპონდენტები **გიორგი ჩოჩიშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, დავით ჭელიძე, თამაზ მიგრიაული, ლეილა სუბელიანი, თამაზ ხარაბაძე. ვაჟა დანელია** შეჯიბრებების ადგილებიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

6 მედალი და VIII ადგილი

როგორც ჩვენი მწვრთნელები ვარაუდობდნენ, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებისათვის ყველაზე იღბლიანი შეჯიბრების დასკვნითი დღე გამოდგა. გუშინ, 25 ივლისს, წარმატება მოიპოვა ჩვენმა ორმა სპორტსმენმა: სოხუმის მე-15 საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ლეონიდ ფიტოზოვმა (მწვრთნელი ბორის კიუტი) გაიმარჯვა № 2 მრავალჭიდში, ბათუმის მე-11 სკოლის მეცხრეკლასელმა ვადიმ ბობილიოვმა (მწვრთნელი მარინა კოსოვა) კი № 6 მრავალჭიდში. ასპარეზობის მესამე პრიზიორი გახდა თბილისელი დიანა ხუბაშვილი (მწვრთნელი მარინა მელაძე). ამრიგად, ჩვენმა მძლეოსნებმა სამი პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს და წინასწარ ნავარაუდევ შედეგს გადააჭარბეს.

ჩვენი ნაკრები წარმატებით გამოვიდა გუნდურ შეჯიბრებაშიც — 159 ქულით VIII ადგილზე გავიდა.

იხ. მე-2 გვ.

სურათებზე: ვადიმ ბობილიოვი **და ლეონიდ ფიტოზოვი; მარჯვნივ — დიანა ხუბაშვილი.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

მთავარი ფინალისაკენ

გუშინწინ საქართველოს მობაიდარეთა და კანოისტთა ნაკრები გუნდის წევრები და მწვრთნელები ცოტა არ იყო შეფიქრიანებულნი ჩანდნენ, რადგან, როგორც ვიუწყებოდით, 500 მეტრზე ერთადგილიანი ნავებით წინასწარი შეჯიბრებიდან ნახევარფინალში გასვლა მხოლოდ ნინო მუსოევამ შეძლო, ამავე დისტანციაზე ორადგილიანი ნავებით მოასპარეზეთა შორის კი ფინალში გამოსვლის უფლება მხოლოდ ფოთელმა კანოისტებმა ხ. გიგიბერიამ და ბ. ოჩიგავამ მოიპოვეს.

გუშინ დილით გაიმართა 1000 მეტრზე რბოლები, რომელთა შედეგებმა ნიჩბოსნები დაიმედა. მართალია, ჭაბუკთა პირველი ორი რბოლა (ერთადგილიანი ბაიდარებით) ჩვენთვის კვლავ უიღბლო გამოდგა — გენადი ფარცვანიამ და ედუარდ კაპუსტინმა ნახევარფინალში გასვლა ვერ შეძლეს, მაგრამ მალე ირაკლი ხოშტარიას (ერთადგილიანი კანოე), აკაკი უსუფაშვილს, მალხაზ ლომაძის (ორადგილიანი ბაიდარა), ხვიჩა გიგიბერიას, ბენო ოჩიგავას (ორადგილიანი კანოე), ხათუნა ლომაძის, ნინო წურწუმიას, ნინო მუსოევას და მანანა ჩიტაიას (ოთხადგილიანი ბაიდარა) გამოსვლის ჯერი დადგა: ხოშტარია — ნახევარფინალში, დანარჩენი ეკიპაჟები კი პირველ ფინალში გავიდნენ და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. განსაკუთრებით გვახარებს ფოთელ კანოისტთა წყვილის ხვიჩა გიგიბერიას და ბენო ოჩიგავას წარმატება — ისინი ორივე დისტანციაზე ფინალში ასპარეზობენ.

ელვა-ინფორმაცია

ქუთაისი. საქართველოს 9 მოკრივე ფინალში გავიდა. დარჩენილი შეხვედრების მიუხედავად რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს პირველი ადგილი განაღდებული აქვს.

ფოთი. სბაიდარო ნოჩბოსნობა. 1000 მ. ვაუთა შორის 4-ადგილიანი ნავებით ასპარეზობაში საქართველოს ეკიპაჟი ფინალში გავიდა.

თელავი. მაგიდის ჩოგბურთი. გოგონები: საქართველო — დასავლეთი ზონა — 3:6; საქართველო — უკრაინა — 0:9. ჭაბუკები: საქართველო — დასავლეთი ზონა — 6:4; საქართველო — „დინამო“ — 1:8.

რა ფასი აქვს ასეთ რეკორდებს?

საქართველოს ნორჩმა სპორტსმენებმა, გულამა ცურვის გარდა, ყველა სახეობაში გაუმჯობესეს პირადი რეკორდები, მაგრამ რეკორდი ხომ თვითმიზანი არ არის? რა მოუტანა ამ წარმატებამ ჩვენს სპორტსმენებს? საბოლოოდ, არაფერი. ასპარეზობის მეორე დღეს ფინალში მხოლოდ ერთი მოცურავე, თბილისელი ნელი ზოსიომოვა მოხვდა. მან 50-მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მეექვსე ადგილი დაიკავა (31, 86). ამ დღეს გუნდს ჩათვლა კიდევ სამმა ჩვენმა სპორტსმენმა მისცა — თბილისელებმა მაია წიკლაურმა, ოლგა იაკუშევამ (ბრასი 200 მეტრი) და რუსთაველმა იგორ ბაკლაგოვმა (კომპლექსური ცურვა 400 მეტრზე). საქართველოს ნაკრებს ქულები შემატეს 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე გოგონებმა (VII ადგილი) და ბიჭებმაც (IX ადგილი). დანარჩენები კი მეტწილად მესამე ათეულში ძლივს იმკვიდრებდნენ ადგილს.

სურათი რომ უფრო ნათლად წარმოგიდგინოთ, ამისათვის ჩვენი ბიჭებისა და გოგონების შედეგებს შევადარებთ. რას გვიჩვენებს შედარება? იმას, რომ ჩვენი გუნდის უძლიერესი ბიჭები თავიანთი შედეგებით გოგონათა ფინალშიც კი ვერ მოხვდებოდნენ. გამონაკლისია ერთადერთი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ), მაგრამ ისიც კი გოგონების შეჯიბრებაში მეოთხე ადგილს ვერ გასცდებოდა.

რა თქმა უნდა, ამ ასაკის გოგონები სათადარიგო ნორმატივებს გაცილებით „იოლად“ ასრულებენ, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თუ გოგონებსა და ბიჭებს ერთმანეთს შეეჯიბრებთ, გამარჯვება პირველებს უნდა დარჩეთ, ჩვენი ბიჭების ჩამორჩენა, ცხადია, ქალთა ემანსიპაციით არ აიხსნება.

კიდევ ფრე

თამაშების საფეხბურთო ტურნირის პირველ ღღეს რუსთავში გაიმართა „ბ“ ჯგუფის ორი მატჩი. „ულიანოვკა“ ანგარიშით 0:2 წააგო „ფოლადს“. განათლების სამინისტროს ნაკრებთან, ხოლო პროფკავშირების მეორე გუნდმა დაამარცხა „დინამოს“ ნაკრები — 3:0.

გუშინ შედგა „ა“ ჯგუფის მეტად მნიშვნელოვანი მატჩი, საქართველოს ნაკრები შეხვდა უკრაინის განათლების სამინისტროს გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. დასავლეთი ზონა — საბჭოთა არმია — 1:2.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 — 1987
ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

ჭაბუკი ფრენბურთელები—ნახევარფინალში

ფრენბურთელთა ასპარეზობის მესამე ტურში განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩეოდა საბჭოთა არმიისა და პროფკავშირების-II ნაკრების შეხვედრა, სადაც ხუთი პარტია გათამაშდა. არმიელებმა მხოლოდ ბოლო პარტიაში მიაღწიეს მიზანს — 3:2 (17:15, 15:10, 1:15, 15:17, 15:11).

„ბ“ ჯგუფის ლიდერის — რუსეთის ფედერაციის გუნდისა და აუტსაიდერის — „უროეაის“ შეხვედრაში ოთხი პარტია დასჭირდა გამარჯვებულის გამოვლენას. რსფსრის ფრენბურთელებმა 3:1 (15:6, 15:6, 12:15, 15:11) დაამარცხეს მეტოქე და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

პრინციპული იყო სამხრეთის ზონისა და პროფკავშირების-I ნაკრები გუნდების შეხვედრა. ორივე კოლექტივს თითო მოგება ჰქონდა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. სამხრეთელებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება — 3:1 (13:15, 15:12, 15:11, 15:7).

გულშემატკივრები ინტერესით მოელოდნენ საქართველოსა და დასავლეთი ზონის ფრენბურთელთა შეხვედრას, რადგან წინა ტურებში ორივე კოლექტივმა კარგად ითამაშა. ორთაბრძოლა ამჯერადაც ჩვენი ფრენბურთელების უპირატესობით წარიმართა. მათ შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. თითოეული გუნდის წევრი (ამ დღეს მოედანზე გამოვიდნენ დავით ლინაძე, დავით მესხი, დავით ჯიოშვილი, რომან პავლოვი, სერგეი პერეპელიცა, გენადი კალმიკოვი, იგორ სამოილენკო, გიორგი გელაშვილი) გააზრებულად და ძალების მთელი მობილიზებით მოქმედებდა. პირველ პარტიაში საქართველოს ფრენბურთელებმა იოლად დაამარცხეს მეტოქე — 15:9. თამაშის კლასსა და ანგარიშში სხვაობა ერთიორად გაიზარდა მეორე პარტიაში, რომელიც ჩვენმა ბიჭებმა მოიგეს — 15:6. უპირატესობა აშკარა იყო მესამე პარტიაშიც — 15:10. ამ მატჩის მოგებით (3:0) საქართველოს ფრენბურთელებმა ქვეჯგუფში ლიდერთა შორის დაიმკვიდრეს ადგილი.

ექსპრესკომენტარი

ნიკოლოზ ბურობინი, ოლიმპიური ჩემპიონი:

— საქართველოს ნაკრების თამაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ტურნირზე სწორედ ის არის ყველაზე უკეთ შეთამაშებული გუნდი. მისი წევრები თანაბარი ძალით თამაშობენ დაცვასა და თავდასხმაში, კარგად აწოდებენ ბურთს, დამუშავებული აქვთ ცრუ დარტყმები, რომელთა მეშვეობით ქულებს იძენენ. დღევანდელ მატჩში საქართველოს სპორტსმენებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

გუშინ...

საქართველო — საბჭოთა არმია— 3:0 (15:3, 15:4, 15:4); პროფკავშირები-I — „უროეაი“ — 3:0; უკრაინა — პროფკავშირები-II —3:0; სამხრეთი ზონა — „დინამო“—3:0.

ერთი პრიზიორი

კაცმა რომ თქვას, საკავშირო სპორსტკოლების თამაშებზე ჩვენი ძალოსნების დიდი იმედი არ გვქონია. ორც მწვრთნელები იყვნენ ოპტიმისტურად განწყობილნი. მაისში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების უფროს მწვრთნელს გოგი თოდაძეს იმის ვარაუდიც გაუჭირდა, გუნდი რომელ ადგილზე გავიდოდა. მხოლოდ ერთ რამეში არ დაეჭვებულა მწვრთნელი: სჯეროდა, რომ ქუთაისელი მერაბ ხუბუელაშვილი წარმატებას მიაღწევდა. უყოყმანოდ განაცხადა, მერაბი მესამე ადგილს დაიკავებსო.

მისი ვარაუდი გამართლდა. მერაბმა ცხინვალის საკონცერტო დარბაზის ფიცარნაგზე 75 კგ. წონით კატეგორიაში 125 კილოგრამი აიტაცა, 155 აჭრა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა (როგორც ჩანს, მწვრთნელი არა მარტო შეგირდს იცნობდა ზედმიწევნით, არამედ მისი მეტოქეების შესაძლებლობებსაც).

აღსანიშნავია, რომ ამ წონაში სამივე პრიზიორმა აკრაში ერთი და იგივე წონა 155 კილოგრამი დაიმორჩილა. პირველ და მეორე ადგილზე გასულმა სერგეი რიბაკოვმა (პროფკავშირები-II, უკრაინა) და იური ნიკიფოროვმა (პროფკავშირები-I, ბელორუსია) ორჭიდში თანაბარი წონა 287,5 კილოგრამი დაძლიეს. მოძრაობის ტექნიკური თვალსაზრისით, ხუსტად შესრულებისთვის ოქროს მედალი უკრაინელ ძალოსანს მიაკუთვნეს.



მერაბ ხუბუელაშვილი.

მძიმე შეხვედრები ელით

სასტარტო შეხვედრის დიდი ანგარიშით მოგების შემდეგ, II ტურში ჩვენი მოჭადრაკე გოგონები როგორღაც უხალისოდ თამაშობდნენ და არასახარბიელო ენდშპილში ნინო ხურციძეს ზუსტად რომ არ ეთამაშა, საკავშირო პროფკავშირთა I ნაკრებთან უსათუოდ დამარცხდებოდნენ, მანამდე ანგარიში იყო 1:1 — სოფიკო ნიკოლაძემ იოლად ძლია მეტოქეს, თეა ლანჩავამ კი დებიუტშივე დათმო პაიკი და პარტია ვეღარ გადაარჩინა.

ჩვენმა ბიჭებმა წააგეს. მაგრამ იმის თქმა, რომ ეს დამარცხება მოულოდნელი იყო, ან სუსტად ითამაშეს, სწორი არ იქნება. საქმე ის არის, რომ საკავშირო პროფკავშირების ვაჟთა I ნაკრები — ამ თამაშების ერთ-ერთი ფავორიტი — უდავოდ ძლიერი გუნდია.

ფინალურ ექვსეულში გასასვლელად საქართველოს გოგონთა ნაკრებისათვის ბოლო ტურში აყიმიც საკმარისია, მაგრამ თუ ფინალში „ოქროს ქულით“ სურთ გასვლა, მაშინ აუცილებლად უნდა დაამარცხონ საკავშირო განათლების სამინისტროს სამხრეთის ზონის გუნდი, თანაც რაც შეიძლება დიდი ანგარიშით. ბიჭებს კი მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს.

6 მედალი და VIII ადგილი

სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე ყველაზე მეტი მონაწილე მძლეოსანთა შეჯიბრებას ჰყავდა: 11 ნაკრებიდან თითოეულმა 50 სპორტსმენი გამოიყვანა, ასე რომ, „დინამოს“ სტადიონზე სულ რაღაც ოთხ დღეში 550-მდე მძლეოსანმა იასპარეზა. სპორტსმენთა ასეთმა მოზღვავებამ ოთხდღიანი ცაიტნოტისა და დებულების სირთულის პირობებში ძნელი ამოცანის წინაშე დააყენა შეჯიბრების ორგანიზატორები და მსაჯები. ასპარეზობის ანალიზი ჯერ ადრეა, ახლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ შეჯიბრებები შეუფერხებლად ჩატარდა.

მძლეოსანთა შეჯიბრებაზე სულ 29 ჩემპიონი გამოვლინდა: 12 გოგონა და 17 ჭაბუკი. 24 ოქროსის გამართული სტარტებიდან კი ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაკვირველია, ჩვენი გუნდის წევრების გამოსვლა იყო, მით უმეტეს, რომ მათგან რამდენიმემ საკმაოდ კარგად დაიწყო ასპარეზობა.

თბილისელმა იგორ ვორონოვმა, რომელიც № 10 მრავალჭიდში გამოდიოდა, ორი სახეობის — სიგრძეზე ხტომისა და 60 მეტრზე რბენის შემდეგ ვლადისლავ დულკევიჩთან ერთად (პროფკავშირები-I) საუკეთესო შედეგი აჩვენა, მაგრამ აქ ყველაფერი გადაწყვიტა მრავალჭიდის მესამე დისციპლინამ, სამაღლეზე ხტომამ, რომელშიც სტუმარს გაუღიმა ბედმა. ვერცხლის მედალი მოულოდნელი ჯილდო იყო თბილისის 121-ე სკოლის მერვეკლასელისათვის. და ამდენად სათანადოდ აღსანიშნავია ახალგაზრდა მწვრთნელები სერგეი აივაზიანი და ოლეგ კასოევი, რომლებმაც თავიანთი შეგირდი კარგად მოამზადეს საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის.

ხარაგაულელ გოგონას მადონა წიქარიშვილს, რომელიც გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში სწავლობს, მტყორცნელთა შორის ყველაზე მეტი სისწრაფე აღმოაჩნდა — საუკეთესო დრო აჩვენა 60 მეტრზე რბენაში (8,3). თუმცა ბირთვის კვრისა და ბადროს ტყორცნის შემდეგ მას ორმა სპორტსმენმა გაუსწრო. მადონას წარმატება კიდევ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ჩვენს მძლეოსანთაგან პირველმა მან მოიპოვა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მედალი.

№ 6 მრავალჭიდში მე-7 ადგილი დაიკავა ჩვენი გუნდის წევრმა სვეტლანა დერევიანიკოვამ, იგივე შედეგი ჰქონდა მალხაზ მიქაბერიძეს № 11 მრავალჭიდში. ხოლო სოხუმელ ოლეგ ზაპოროჟეცს სიგრძეზე ხტომაში ნაჩვენებმა დაბალმა შედეგმა (575 სმ) დააკარგვინა თამაშების ერთ-ერთი მედალი, № 9 მრავალჭიდში ოლეგი მეოთხე ადგილზე გავიდა. ამავე სახეობაში მე-7 იყო მისი თანაქალაქელი სერგეი კლიუსოვი...

კვარცხლბეკი

გოგონები. მრავალჭიდი № 8 (60 მ+ბირთვი+ბადრო). 1. ე. რუსეკაია (დასავლეთი ზონა, 8,4+14,68 მ+36,36) — 1554 ქულა; 2. ს. ზუბცოვა (განათლების სამინისტრო, 8,7+13,69+39,20) —1476; 3. **მ. წიქარიშვილი (საქართველო, 8,3+12,50+34,20)—1389.**

მრავალჭიდი № 6 (60 მ—სიგრძე-სიმაღლე). 1. ა. სლოვენკინა („დინამო“, 8,1+5,65+170) — 2641 ქულა; 2. ტ. ნეკრაშევიჩი — 2406; 3; ა. გრიშინა (ორიგე — განათლების სამინისტრო) — 2275... 7. ს. დერევიანიკოვა (საქართველო)— 2076.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

რა სწრაფად გადის დრო

დრო უცებ, თვალის დახამხამებაში გადის. ეს განსაკუთრებით მაშინაა საგრძნობი, როცა გუშინდელი ახალგაზრდა ერთბაშად რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს. თითქოს ზრდისა და ჩამოყალიბების პერიოდი არცა ჰქონია. ხუთიოდე თვის წინათ, თებერვალში, მოსკოველმა ძიუდოისტმა ვიტალი ბედიუკინმა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს, მართლაც, ახალგაზრდა სპორტსმენის მოულოდნელი წარმატება იყო. ბედიუკინს მხოლოდ ორმა გამოცდილმა ოსტატმა ბაშირ ვარაევმა (გროზნო) და ლერი ნაკანმა (თბილისი) გაუსწრო. მაშინ ლენინგრადში 23 წლის ძიუდოისტს ეს შედეგი დიდ გამარჯვებად ჩაუთვალეს.

გავიდა ხუთი თვე და თბილისის საერთაშორისო ტურნირში ბედიუკინი სავსებით ჩამოყალიბებულ ოსტატად წარმოგვიდგა. ოთხი წინასწარი ბრძოლა დროზე ადრე, წმინდა გამარჯვებით რომ დამთავრა, ჯერ კიდევ არაფრს მაუწყებელი იყო. მთავარი გამოცდა მას ფინალში ელოდა. სწორედ აქ უნდა დაემტკიცებინა თუ რამდენად ლოგიკური და დასაბუთებული იყო მისი ეს ოთხი გამარჯვება.

იაპონელი ტერუხიკო ცუგიამას სახით მას მართლაც მკაცრი გამომცდელი ჰყავდა. მართალია, იაპონელის დოსიეში დიდი წარმატებები და ტიტულები ვერ ამოვიკითხეთ, მაგრამ თბილისის საერთაშორისო ტურნირების მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა და დაგვარწმუნა, რომ ამომავალი მზის ქვეყნის მოჭიდავეთა შესაძლებლობების განსაზღვრა ამ ნიშნით სწორი არ იქნებოდა. უოფილა შემთხვევა, თანაც ბევრი, როცა ამ ქვეყნის წარმომადგენელს დიდი სპორტის საგზური სწორედ თბილისში გამარჯვების

იხ. მე-4 გვ.

ნინო გურიელს წარმატების შანსი აქვს

დასასრული

V ტური: უმანსკაია-სტრუჩკოვა — 0,5:0,5, ზატულოვსკაია-სადიროვა — 0,5:0,5, ველიხანლი-გურიელი — 0,5:0,5, უსკოვა-ერნესტე — 0:1, სტეპოვაია-საფარგალიევა — 1:0, შაფრანსკა-საფარიანი — 0,5:0,5, პიარნპუუ-დიომინა — 0:1.

VI ტური: სტრუჩკოვა-დიომინა— 0,5:0,5, საფარიანი-პიარნპუუ — 0,5:0,5, საფარგალიევა-შაფრანსკა — 0:1, ერნესტე-სტეპოვაია — 1:0, სადიროვა-ველიხანლი — 1:0, უმანსკაია-ზატულოვსკაია — 0,5:0,5, გურიელი-უსკოვას პარტია გადაიდო.

VII ტური: ზატულოვსკაია-სტრუჩკოვა — 0:1, ველიხანლი-უმანსკაია — 1:0, უსკოვა-სადიროვა — 1:0, სტეპოვაია-გურიელი — 0:1, შაფრანსკა-ერნესტე — 1:0, პიარნპუუ-საფარგალიევა — 1:0, დიომინა-საფარიანი — 1:0.

VIII ტური: სტრუჩკოვა-საფარიანი — 0:1, საფარგალიევა-დიომინა — 0:1, ერნესტე —პიარნპუუ— 0,5:0,5, გურიელი-შაფრანსკა — 0,5:0,5, სადიროვა-სტეპოვაია — 1:0, უმანსკაია-უსკოვა — 1:0, ზატულოვსკაია-ველიხანლი — 1:0.

IX ტური: ველიხანლი-სტრუჩკოვა — 0,5:0,5, სტეპოვაია-უმანსკაია— 0,5:0,5, შაფრანსკა-სადიროვა — 0:1, პიარნპუუ-გურიელი — 0,5:0,5, დიომინა-ერნესტე — 0,5:0,5, საფარიანი-საფარგალიევა — 1:0, უსკოვა-ზატულოვსკაიას პარტია გადაიდო.

X ტური: სტრუჩკოვა-საფარგალიევა — 1:0, გურიელი-დიომინა — 1:0, სადიროვა-პიარნპუუ — 1:0, უმანსკაია-შაფრანსკა — 0:1, ზატულოვსკაია-სტეპოვაია 0:1, ველიხანლი-უსკოვა — 1:0, ერნესტე-საფარიანის პარტია გადაიდო.

XI ტური: უსკოვა-სტრუჩკოვა— 0,5:0,5, სტეპოვაია-ველიხანლი — 1:0, პიარნპუუ-უმანსკაია — 0,5:0,5, დიომინა-სადიროვა — 1:0, საფარიანი-გურიელი — 0,5:0,5, საფარგალიევა-ერნესტე — 1:0, შაფრანსკა-ზატულოსკაიას პარტია გადაიდო.

III ტურის გადადებულ პარტიაში ლეილი პიარნპუუმ დაამარცხა ანდა შაფრანსკა.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ნინო გურიელი — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია, ფირუზა ველიხანლი — 7, ირინა უმანსკაია, იულია დიომინა, ტატიანა სტრუჩკოვა — 6-6 ქულა.

ასპარეზობის დამთავრებამდე 2 ტური რჩება.

ზედიზედ ოთხი გამარჯვება

იუგოსლავიის ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საზონთშორისო ტურნირი.

არასახარბიელო სტარტის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა სატურნირო მდგომარეობა გამოასწორა — ბოლო სამ თამაშში 2,5 ქულა მოაგროვა და ახლა იგი ლიდერთა ჯგუფშია. უნგრელი ილდიკო მადლი კი პირიქით, შესანიშნავი სტარტის შემდეგ (4 თამაშიდან 3,5 ქულა ჰქონდა) ზედიზედ 3-ჯერ დამარცხდა.

კარგად თამაშობს მარტა ლიტინსკაია. ზედიზედ 4 პარტიის მოგების შემდეგ იგი 6,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

გთავაზობთ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ტურის შედეგებს:

V ტური: ვოისკა—ფენი — 0:1, მინციანი—გაფრინდაშვილი — 0:1, არკელი—ლელჩუკი — 1:0, არმასი — მარიჩი—0:1, მარკოვიჩი — მადლი — 1:0, ლიტინსკაია—ჩავესი— 1:0, ლევიტინა—ნიუბერგი — 1:0, კლიმოვა—იზრაილოვას პარტია გადაიდო.

VI ტური: ფენი—ნიუბერგი — 1:0, ჩავესი—ლევიტინა — 0:1, მადლი—ლიტინსკაია — 0:1, იზრაილოვა—მარკოვიჩი — 1:0, მარიჩი — კლიმოვა — 1:0, ლელჩუკი — არმასი — 0:1, გაფრინდაშვილი—არკელი — 0,5:0,5, ვოისკა — მინციანი — 0,5:0,5.

VII ტური: არმასი—გაფრინდაშვილი — 0:1, არკელი—ვოისკა — 0:1, მინციანი — ფენი—1:0, მარკოვიჩი — მარიჩი — 0:1, ლიტინსკაია — იზრაილოვა — 1:0, ლევიტინა — მადლი — 1:0, ნიუბერგი—ჩავესი — 1:0, ლელჩუკი — კლიმოვა — 0,5:0,5.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ: მარტა ლიტინსკაია — 6,5 ქულა, ალისა მარიჩი (იუგოსლავია), ირინა ლევიტინა — 5-5, ნონა გაფრინდაშვილი, სიუზა არკელი (ინგლისი) — 4,5-4,5.

ქართული სპორტის ახალი შენაკადი

ჩვენს გაზეთში პირველად გასულ წელს გამოქვეყნდა იმ სპორტსმენთა სია, რომლებმაც დღეს თუ ხვალ ქართული სპორტის ესტაფეტა უნდა განაგრძონ. და აი, ერთი წლის თავზე კვლავ ახალი სია, ქართული სპორტის ახალი შენაკადი. საქართველოს სპორტსახკომმა მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი შეარჩია. წლეულს მოთხოვნები გაცილებით მკაცრი იყო და ამიტომაც სიაში შარშანდელთან შედარებით რამდენიმე ათეულით ნაკლები სპორტსმენი მოხვდა.

სიაში, რომელსაც დღეს გთავაზობთ, თითქმის 95 პროცენტი გუშინდელი მოსწავლეა — წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა. ნაწილი სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნდა. ახლა ყველა მათგანი ამბითურიენტია. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს შეემატება სპორტსმენთა ახალი შევსება. დიდი ხანი არაა, რაც დამთავრდა მსოფლიო უნივერსიადა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები შინ თვალსაჩინო ნადავლით დაბრუნდნენ, და მაინც, ეს არ იყო შესაძლებლობების მაქსიმუმი. იმ ზრუნვა-ყურადღების გათვალისწინებით, რასაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა იჩენს ფიზკულტურისა და სპორტისადმი, უკუგებაც მეტი უნდა იყოს. ამიტომაც მომავალში მეტს მოელიან ჩვენი სპორტსმენებისგან. უმაღლესი სასწავლებლები ხომ უსაზღვროდ ადიდებენ უფლებებით, დაინტერესებით ეკიდებიან სტუდენტ-სპორტსმენებს, უფლებაფერს აკეთებენ სწავლასა და სპორტში მათი წარმატებებისათვის.

ეს თაობა, რომელსაც დღეს გაცნობთ, ჩვენი სპორტის საშუალო რგოლია. მათ კვალში მოჰყვებიან უმცროსები, ისინი, ვინც დღეს სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში ასპარეზობენ, უფროსები კი წარმატებით გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

რესპუბლიკა გზას გილოცავთ!

აკრობატიკა

რომანოზ კუბალეიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ბადმინტონი

აკაკი ბრეგვაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

იგორ იუროვი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

თინათინ მარგველიშვილი—სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მაია დარჩია — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მაია ვარშანიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

გალახის ჰოკეი

ემზარ ხაზარაძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დავით გვეტაძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მიხეილ ფულარიანი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ავთანდილ ჯანგვაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

სოსო მამიხეიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გურამ კუდუხოვი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ბატუტი

გიორგი კაპანაძე — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

გეიზგოლი

ბაგრატ ზარიძე — საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ველოსპორტი

რომან სავიცკი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გოჩა შავიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

თავისუფალი ჭიდაობა

გიორგი ივანიშვილი — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი ჭაბუკებში;

აკაკი გაბედავა — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი ჭაბუკებში;

ანზორ გოგრიჭიანი — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატი.

ქალთაგორი

თამილა კენკებაშვილი — პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატი;

ნათუნა გაბედავა — პირველთანრიგოსანი, „ბურევესტნიკის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ნინო ყიფშიძე — პირველთანრიგოსანი, „ბურევესტნიკის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ლევან გეგეშიძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ გუნდის წევრი;

დავით თორთლაძე — პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი ჭაბუკებში, თბილისის „დინამოს“ მოთამაშე;

გოდერძი კორძაძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ გუნდის წევრი;

მარია ისაევა — პირველთანრიგოსანი — თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე.

ძალოსანი ჭიდაობა

ვეფხია ანთაძე — პირველთანრიგოსანი, ემზადება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის;

ჯანსუღ ბროძელი —პირველთანრიგოსანი, ემზადება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის;

შოთა დავითაია — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნაიბ დვალაძე — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მამუკა ბაბლუანი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

კახაბერ ღუღუნიშვილი — პირველთანრიგოსანი, ემზადება სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის;

მამუკა ჩაჩუა — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ვახილ ონიანი— საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

კრივი

ხვიჩა სეთურიძე — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი ჭაბუკებში;

თამაზ ბუაძე — პირველთანრიგოსანი (ჭაბუკებში), ემზადება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის;

მიხეილ ჩადუნელი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ლევან აშიანი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მირზა ხურციძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

მაგიდის ჩოგბურთი

ჯიმშერ ცოვაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

მძლეოსნობა

რაულ ხვიჩია — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მამუკა ნაბიევი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნინო ჩუმაშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გიორგი ჯაშიაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ზურაბ მაჩურიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მარინა კარგიშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ზურაბ თაბუკაშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მამუკა არონაშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დავით აბრამიშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მალხაზ ალასანია — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნანა ესართია — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

თეიმურაზ ბღარვაიძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ზურაბ უიფიანი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დიმიტრი ჩუკანოვი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გრიგოლ ფოცხიშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მამია გოგიბერიძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მაია ღალანიძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ვახილ მახარაძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

თენგიზ ვაშაკიძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

კახაბერ მაღლაფერიძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

კობა ჩიქოვანი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

მხატვრული ტანვარჯიში

ელენე აბაზაძე — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

თამარ ქუმსიშვილი — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ფიქრია ფანქველაშვილი — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ნიჩბოსნობა (აკადემიური)

რევაზ ბეშქელაძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დიმიტრი რამიშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ალექსანდრე ნიკოლაიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დავით ბიბიჩაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მამუკა შამილიშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ირაკლი შუქურაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დავით ჩიქოვანი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნანა ობოლაძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ნიჩბოსნობა (გაიდარა და კანოე)

მამუკა ლომიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ზურაბ ახალაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

რეგბი

მალხაზ რამიშვილი — პირველთანრიგოსანი, „შევარდენის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ირაკლი თეზელაშვილი — პირველთანრიგოსანი, „შევარდენის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

გიორგი ღვინიაშვილი — პირველთანრიგოსანი, „შევარდენის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

გივი კანდელაკი — პირველთანრიგოსანი, „შევარდენის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ვალერი გიორგობიანი — პირველთანრიგოსანი, „ელმავალის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ლაშა ცხადაძე — პირველთანრიგოსანი, „შევარდენის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ბერიკა გელაშვილი — პირველთანრიგოსანი, „ელმავალის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

გიორგი ძაგანელი — პირველთანრიგოსანი, „ელმავალის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ლევან ჩიქვინიძე — პირველთანრიგოსანი, „ელმავალის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

თემურ ნარიმანიძე — პირველთანრიგოსანი, „ელმავალის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ზაზა ხუჭუა — პირველთანრიგოსანი, „შევარდენის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

პაატა ძოწენიძე — პირველთანრიგოსანი, „მშენებლის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ალექსანდრე გაბიძაშვილი —სპორტის ოსტატობის კანდიდატი, „მშენებლის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

მამუკა ჩიქაბერიძე — პირველთანრიგოსანი, „მშენებლის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ავთანდილ პაპუაშვილი — პირველთანრიგოსანი, „მშენებლის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე;

ტარიელ ჯინჭველაძე — პირველთანრიგოსანი, „მშენებლის“ ოსტატთა გუნდის წევრი, სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე.

სამგო

ზაქრო ებელაშვილი — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

თემურ შეთეკაური — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ბესიკ გულიაშვილი — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

სასტენდო სროლა

გიორგი ასეიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ირაკლი ჯანჯღავა — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

სათხილამურო სპორტი

დავით ოგანეზოვი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნიკოლოზ კოზანაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ლეილა ზერეკიძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ეკა უშხვანი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

საციგაო სპორტი

კახა ვახტანგიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ლევან თიბილოვი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ტყვიის სროლა

არტურ მიტინიანი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ამბერკი დვალიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მარინა აბაკელია — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

კონსტანტინე გონაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ტატიანა ფედოსოვა — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ვიტალი კულუმბეგოვი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ირინა ამიაკოვა — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ალექსი კუპუნიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დავით წაქაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ფარიკაობა

ჯემალ ანკვაბი — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

მაია მათითაიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

არჩილ ლორთქიფანიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ალექსანდრე ზახაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გელა გოგისვანიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნიკოლოზ ასათიანი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გიორგი სახვაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ლევან კობიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ლიანა გიორგაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დიმიტრი დავითაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ფეხბურთი

ანრიკ ცვეიბა — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის წევრი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი;

მიხეილ ჯიშკარიანი — თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის წევრი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი;

გიორგი გულიაშვილი — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

ზურაბ ბერიაშვილი — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

გურამ ლორთქიფანიძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

ნიკოლოზ ჩხეიძე — პირველთანრიგოსანი, ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

მიხეილ კალატოზიშვილი —სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

როინ კერძევაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

გიორგი ბაბუაძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

პაატა ჩხეიძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

აკაკი ბკუასელი — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

ლევან გვაზავა — პირველთანრიგოსანი — თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

კახაბერ გუჯაბიძე — პირველთანრიგოსანი, ლანჩხუთის „გურიას“ დუბლშემადგენლობის წევრი;

ირაკლი გოგუაძე — პირველთანრიგოსანი, ლანჩხუთის „გურიას“ დუბლშემადგენლობის წევრი;

დავით იმნაძე — პირველთანრიგოსანი, ლანჩხუთის „გურიას“ დუბლშემადგენლობის წევრი;

ალექსანდრე კონდრატიევი — სპორტის ოსტატი, ლანჩხუთის „გურიას“ ძირითადი შემადგენლობის წევრი;

გიორგი ქოჩიაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

ზაზა ბენდელიანი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

დავით კევლიშვილი — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

დავით ნეფარიძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

გიორგი ფერაძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

პაატა ნასყიდაშვილი — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატი;

მელორ ბიგვავა — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის წევრი.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲕ. 4

ქართული სპორტის ახალი შენაკადი

დასასრული

შრენგბურთი

ანდრეი მალახოვი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გიორგი ცერცვაძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დავით ლხინაძე — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ანდრეი მუხინი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნატალია ხალნიკოვა — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

დარეჯან სინჯიკაშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნატალია რავვა — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნოდარ ბასილაშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ჩოგბურთი

ალექსანდრე ნახაპეტიანი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ეკა ბოკუჩავა — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ეკა თოხაძე — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

კონსტანტინე გოგელია — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

სიმონ ელიგულაშვილი — პირველთანრიგოსანი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ცურვა

ომარ მოისწრაფიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

[illegible]

ლალი ჩომახიძე—სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

თამარ კოტორაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატი;

ლევან ტრაპაიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გიორგი დათეშიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ვლადიმერ ბებიაშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნინა რეშეტნიაკი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ნატალია ხაჭაპურიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ბიჭიკო ბარდაველიძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ცხენოსნობა

ვამეხ გაჩეჩილაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები. გუნდის წევრი;

ივანე ყურუა — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

გიორგი ბარკალაია — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ძალოსნობა

სოსლან კოჩიევი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

ძიუდო

ზაზა ჩოქური — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი;

ვლადიმერ დგებუაძე — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

მაკარ თვალაძე — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

იმედა ჯიმშელეიშვილი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

ჯამბულ მასურიშვილი — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი.

წყალბურთი

მირიან ასათიანი — პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

ბესიკ გოგიშვილი — პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი;

დავით გელაშვილი — პირველთანრიგოსანი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის კანდიდატი.

ჭადრაკი

ლაშა ჯანჯღავა — სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი;

ვასილ გიორგაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატი;

იანის პოპოვი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატი.

ხელგურთი

ბესო ოსკოპელი — პირველთანრიგოსანი, თბილისის „ბურევესტნიკის“ დუბლშემადგენლობის წევრი;

ბესიკ ბერაძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „ბურევესტნიკის“ დუბლშემადგენლობის წევრი;

ნუგზარ დაუშვილი — პირველთანრიგოსანი, თბილისის „ბურევესტნიკის“ დუბლშემადგენლობის წევრი;

ირაკლი კენჭაძე — პირველთანრიგოსანი, თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობის წევრი;

გიორგი ჟვანია — პირველთანრიგოსანი, თბილისის „ბურევესტნიკის“ დუბლშემადგენლობის წევრი;

ვახტანგ უგულავა — პირველთანრიგოსანი, ემზადება საკავშირო თამაშებისათვის;

გივი ანთაძე — პირველთანრიგოსანი, „ბურევესტნიკის“ დუბლშემადგენლობის წევრი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

50

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-18 ტურის მატჩები.

საქართველოს ორივე გუნდი სტუმრად თამაშობდა. ლანჩხუთის „გურია“ ალმა-ათაში შეხვდა „ქაირათს“, მატჩი დამთავრდა ალმა-ჩათელთა გამარჯვებით — 1:0.

ლენინგრადში შედგა მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. თამაშის შედეგია ფრე — 1:1.

ტურის სხვა მატჩები:

„დნეპრი“ — „მეტალისტი“ 2:0.

„შახტიორი“ — „ტორპედო“ 1:2.

„დინამო“ მ. — „სპარტაკი“ 1:1.

„შალბირისი“ — „არარატი“ 2:0.

„დინამო“ მნ— „ნეფთჩი“ 1:3.

ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში კვლავ მოხდა ცვლილებები.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვის „დინამო“ ამხანაგურ შეხვედრათა ჩასატარებლად აღარ მიემგზავრება ესპანეთში, საკავშირო ჩემპიონატის მატჩი „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 20 ნოემბრიდან გადმოიტანეს 16 აგვისტოსთვის.

ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის „სპარტაკი“, ამიტომ სპარტაკელები მინსკის „დინამოსთან“ 11 აგვისტოს ნაცვლად ითამაშებენ 13 აგვისტოს.

I წრის გამოტოვებული მატჩი პირველ ლიგაში რიგის „დაუგავასა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის შედგება 15 აგვისტოს.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

რა სწრაფად გადის დრო

(დასასრული)

შემდეგ მიუღია და მერე საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავე გამხდარა. არ იყო გამორიცხული, რომ ცუგიამაც ზუსტად ასეთი სიურპრიზისათვის გვამზადებდა. მით უფრო, რომ ფინალისაკენ მიმავალ გზაზე რამდენიმე ძლიერი მეტოქე, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ბაშირ ვარაევი, შედარებით ადვილად ჩამოიცილა.

ერთი სიტყვით, დასამალი რაა და ფინალში, ქვეცნობიერად იაპონელი სპორტსმენის გამარჯვებას ველოდით. ეს ვარაუდი გადამწყვეტი შეხვედრის პირველმა წამებმა უფრო განგვიმტკიცა, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ ბედიუკინი პირველ საპასუხო შეტევას წამოიწყებდა. მერე კი... მერე ცხადი გახდა, რომ იაპონელი არც ისე საშიში და შეუვალი მეტოქე იყო, რომ შასთან ბრძოლაც შეიძლებოდა და გამარჯვებაზე ფიქრიც.

ორმა წუთმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, მესამე წუთის დასაწყისში კი ის იყო იაპონელმა ილეთის ჩატარება /განიზრახა, რომ ბედიუკინი თავს ვადაევლო მეტოქეს, ქვეშ მოიქცია და მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა. სანამ გაკვირვებული მაყურებელი გონს მოვიდოდა, ბრძოლა დამთავრდა. საბჭოთა მოჭიდავემ თავის ცხოვრებაში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება სწორედ აქ, თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე მოიპოვა. დარწმუნებული ვართ ამ ტურნირის მოგონება ახალგაზრდა მოჭიდავეს დიდხანს გაყვება ცხოვრებაში.

ქვესაშუალო წონაში ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე მოჭიდავეც ასპარეზობდა. მათგან გარკვეულ იმედს მხოლოდ ლერი ნაკანზე ვამყარებდით. დანარჩენი ახალგაზრდები იყვნენ. ნაკანი ბრძოლას ბრძოლაზე იგებდა მანამ, სანამ იაპონელს შეხვდებოდა. მერე დამარცხდა, თუმცა მახაჩყალელ რაშიდ იბრაჰიმოვთან მესამე ადგილისათვის ბრძოლის უფლება მაინც მოიპოვა. მაგრამ ეს ბოლო შანსი იდრე მიღებული ტრავმის გამო ჯელარ გამოიყენა და საპრიზო ადგილის მიღმა აღმოჩნდა. სხვა ჩვენს ძიუდოისტებს (მხედველობაში გვყავს დავით ხუბულური, ენგურ გოგიჩაშვილი, თამაზ ჭელიძე, ვანო ბოლოთაშვილი) თავი დიდად არ გამოუჩენიათ. მაგრამ ამას არც ველოდით, სამაგიეროდ დარწმუნებული ვართ გამოცდილება მაინც შეიძინეს და თავიანთი შესაძლებლობები ერთგვარად მაინც შეამოწმეს. ესეც საჭმეა.

გაცილებით უფრო უფერული და მშრალი გამოდგა საშუალო წონის (86 კგ) მოჭიდავეთა მთელი ტურნირი. არც მისი ბოლო აქტი, ფინალური ორთაბრძოლა გახლდათ ამ მხრივ გამონაკლისი. მაგრამ უფერულიო როცა ვამბობთ, იქნებ ვცდებით კიდეც. იქნებ აქ ერთნაირი ძალის მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი და ეფექტური ბრძოლებიც ამის გამო იყო ცოტა. ეს სხვათა შორის, ფინალურ შეხვედრაზეც ითქმის, სადაც გამარჯვებისთვის პრეტენზიას ძველი მეგობრები და მეტოქეები კურსკელი ალექსანდრე სივცოვი და მინსკელი ვიტალი პესნიაკი აცხადებდნენ. ფინალური ბრძოლისათვის დამახასიათებელი სიმწვავე აქ არ გვიგრძვნია. სივცოვმა გაიმარჯვა, თანაც დამსახურებულად (რაც უნდა იყოს, იუკო ფინალში — ოსტატობის მაჩვენებელია), ოღონდ ამ გამარჯვებას ლაზათი აკლდა. ალბათ ამის გამო იყო შეხვედრა მოსაწყენი, სანახაობრივად ნაკლებად ეფექტური.

თუმცა საერთო წესიდან გამონაკლისი აქაც აღინიშნა. ზოგიერთი ბრძოლა ახალგაზრდა ძიუდოისტთა მონაწილეობით ნამდვილად აზრიანი გამოდგა. ორმა მათგანმა — 20 წლის მიიკოპელმა ვალერი იუდანოვმა და 21 წლის ფრანგმა ჟან-ლუი გემონმა ძალა „მცირე ფინალში“ დაამტკიცეს და ეფექტური ბრძოლით ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. კარგად დაიწყო ტურნირი ქ.ორელმა ანზორ თენაძემაც. ორი წრე წარმატებით გაიარა, ოღონდ გამოცდილ პესნიაკს ვერ მოუხერხა ვერაფერი.

და მაინც, საშუალო წონის მოჭიდავეთაგან მეტს მოველოდით. ყოველ შემთხვევაში, უწინ ამ წონაში ბევრი საინტერესო ბრძოლა გვინახავს. დრო მართლაც სწრაფად გადის.

კვარცხლბეკი

86 კგ. 1. ალექსანდრე სივცოვი (სსრ კავშირი, კურსკი), 2. ვიტალი პესნიაკი (სსრ კავშირი, მინსკი), 3. ჟან-ლუი გემონი (საფრანგეთი) და ვალერი იუდანოვი (სსრ კავშირი, მიიკოპი).

78 კგ. 1. ვიტალი ბუდიუკინი (სსრ კავშირი, მოსკოვი), 2. ტერუხიკო ცუგიამა (იაპონია), 3. ბაშირ ვარაევი (სსრ კავშირი, გროზნო) და რაშიდ იბრაჰიმოვი (სსრ კავშირი, მახაჩყალა).

გუშინ...

გამოვლინდნენ ჩემპიონები კიდევ ორ წონაში. 65 კგ-მდე წონითს კატეგორიაში გაიმარჯვა სერგი კოსმინინმა (სსრ კავშირი, მინუსინსკი), 71 კგ წონის ძიუდოისტთა შორის კი მარკ ალექსანდერმა (საფრანგეთი).

კვირიდან კვირამდე

„იზვესტია“ — 23 ივლისი. „ჩვენ სხვის ხარჯზე არ ვცხოვრობთ“. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებისთვის არ მოიძებნება ადგილები სასტუმრო „სპორტში“. კორესპონდენტს ესაუბრება სერგეი ბუბკა. **24 ივლისი.** „გაქცევა უმოძრაობიდან“. ანატოლი ალექსეიცევი რვა წელიწადი გაუნძრევლად იწვა, ახლა კი არც კი ემჩნევა ოდესმე თუ ავადმყოფობდა. **„ტრუდი“ — 21 ივლისი.** „სიმაღლე“. ინტერვიუ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვალერი ბრუმელთან.

„კომსომოლსკაია პრავდა“— 21 ივლისი. „გამომშვიდობების დროჯერ არ დამდგარა“. მარინა სტეპანოვამ 36 წლის ასაკში გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი თარჯრბენში. **23 ივლისი.** „ფიცარნაგზე გამოდიან გოლიათები“. კვლავ ათლეტური ტანვარჯიშის შესახებ.

„სოვეტსკი სპორტი“ — 19 ივლისი. ლ. ელისეევი მოგვითხრობს იმაზე, როგორ დაწერა ვლადიმერ ვისოცკიმ ალპინისტებისადმი მიძღვნილი პირველი სიმღერა. **22 ივლისი.** „კონფლიქტი“. ლენინგრადის „ზენიტის“ 16 ფეხბურთელი ითხოვს უფროსი მწვრთნელის გადადგომას. რატომ? **25 ივლისი.** „სამი კითხვა „შავმანტიან მამაკაცს“. კორესპონდენტის შეკითხვებზე უპასუხებს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ფიფა-ს არბიტრი ვალერი ბუტენკო.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 29-ე ტირაჟებისა, რომლებიც 19 ივლისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 685260 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (14 ბარათი) მოგება 3201 მანეთია, ოთხისთვის (174) — 52, სამისთვის (24926) — 4.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 6.326.772 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (18 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3448) — 194, სამისთვის (130709) — 8.

29-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 3 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“: 31-ე ტირაჟი (I აგვისტო)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
1.	„როსტსელმაში“ (როსტოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი)	70	20	10
2.	ასკ (როსტოვი) — „პამირი“ (დუშანბე)	50	40	10
3.	„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	50	40	10
4.	„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კუზბასი“ (კემეროვო)	50	40	10
5.	„ტორპედო“ (ქუთაისი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)	60	30	10
6.	„დინამო“ (ბათუმი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	60	30	10
7.	„ფაკელი“ (ვორონეჟი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი)	20	50	30
8.	„როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	30	30	40
9.	„კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „დაუგავა“ (რიგა)	50	20	30
10.	„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	50	20	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში (უმაღლესი ლიგა)				
11.	„ექსკავატორტრანსტროი“ (კრასნოიარსკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	50	30	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში (ქალთა გუნდები)				
12.	„ტაურასი“ (შაულიაი) — „კოლოსი“ (ბორისპოლი)	20	40	40
13.	„სვიაზისტი“ (ბაქო) — „ანდიუანკა“ (ანდიჟანი)	40	20	40

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07028

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.